ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N2

19.11.2025 წელი
14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 19 ნოემბერს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **შალვა სუთიაშვილი** (კომისიის თავმჯდომარე), **ალექსანდრე მუკათარიძე** (კომისიის წევრი), **დავით ხაბეიშვილი** (კომისიის წევრი), **მამუკა ხაბარელი** (კომისიის წევრი), **ვაჟა კოკაია** (კომისიის წევრი), **შალვა მაისურაძე** (კომისიის წევრი), **დავით ჭელიძე** (კომისიის წევრი), **შალვა პერანიძე** (კომისიის წევრი) და **დავით ფანჯაკიძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 9 (ცხრა) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (საფუძველი წერილი #12-032531815-03, 14.11.2025წ.),
   მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, მოგახსენებთ ქალაქ თბილისის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს, რომელიც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით თითქმის 100 000,0 ათასი ლარითაა გაზრდილი და შეადგენს 2 082 482,2 ათას ლარს. პროექტით გათვალისწინებულია ათი ძირითადი პრიორიტეტი, რომელიც გადანაწილდა შემდეგნაირად: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 656 339,7 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 278 531,3 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 292 760,6 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47 491,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 182 384,4 ათასი ლარი; განათლება - 300 602,4 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 50 558,8 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 13 196,7 ათასი ლარი; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 257 537,5 ათასი ლარი.

რაც შეეხება კონკრეტულად კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის მიმართულებას, არსებული 50 558,8 ათასი ლარი, 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით გაზრდილია 11 264,8 ათასი ლარით. ბიუჯეტის მიხედვით ისევ გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწვრთნელთა მხარდაჭერა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია. დაიწყება მუხიანის სარაგბო კომპლექსის რეაბილიტაცია, სადაც რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის ფარგლებში ავსტრალიის ეროვნული ნაკრები უნდა განთავსდეს, პროექტის თანახმად მოხდება მოედნების რეაბილიტაცია თანამედროვე სადრენაჟე სისტემით. გათვალისწინებულია "ამერის" სპორტული კომპლექსის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე იგეგმება ედელვაისის სტადიონის მოწყობა ვარკეთილში. სპორტული დაწესებულებების მატერიალური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები. გაგრძელდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ფიზიკური დატვირთვების სკრინინგის და სპორტი უფროსი თაობისთვის. დაიწყება დიღმის მასივში, მესამე კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები. ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა და სხვა მიმდინარე პროექტები.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

შალვა სუთიაშვილი - წარმოდგენილ 2026 წლის ბიუჯეტის პირველად ვერსიაში სპორტის და ახალგაზრდული მიმართულებით ყველა მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტი და პროგრამა შენარჩუნებულია, ასევე ასახულია ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები , გვაქვს გარკვეული წინადადებები და შენიშვნები რაც აისახება დასკვნაში და ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტის გადამუშავებულ ვერსიაში. მინდა შევეხო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების მოდერნიზების საკითხს, სასურველი იქნება დროულად ჩაიდოს საჭირო თანხა ბიუჯეტში, როგორც ისნის, ასევე ჩუღურეთის რაიონის ფილიალების მოსაწყობად, ვინაიდან პროექტები უკვე შეძენილია.

დავით ხაბეიშვილი - ნამდვილად გასათვალისწინებელი რეკომენდაციაა, ისნის რაიონში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის ფილიალის რეაბილიტაციის ნაცვლად უნდა ვიგულისხმოთ ახლის მოწყობა, რადგან მხოლოდ ტერიტორია გვაქვს ისანში.

შალვა სუთიაშვილი - ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ 2025 წლის ხარჯის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში განსაზღვრული თანხა არ არის საკმარისი წლის განმავლობაში დაგეგმილი სპორტული ღონისძიებების განსახორციელებლად და მიზანშეწონილია გადამუშავებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ქვეპროგრამის (08.06.01) ზრდა.

მამუკა ხაბარელი - მინდა შევეხო სპორტული ცენტრების განახლებას. მოხარული ვარ, რომ ახალი ცენტრები შენდება, თუმცა ამჟამად რა ტექნიკური პრობლემებიც იკვეთება ვფიქრობ, რომ საკმაოდ ყურადსაღებია და გარკვეული ფილიალები საჭიროებენ განახლებას.

გაიოზ თალაკვაძე - დიახ, არის გარკვეული ტექნიკური პრობლემები და არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა საჭიროებს ეტაპობრივად რემონტს, განახლებას და მოვლას, რაც ხდება კიდევაც გარკვეული სიხშირით, რადგან ყველა ობიექტი ცვეთას ექვემდებარება, მოგეხსენებათ საკმაოდ დატვირთულია. 2014 წელს დაანონსდა 10 მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა, უკვე დასრულდა ორი და იგეგმება მესამე ცენტრის მოწყობა, ასევე ვმუშაობთ დამატებით მისამართებზე მსგავსი პროექტების ასაშენებლად.

შალვა სუთიაშვილი - ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების სკრინინგის პროგრამა, მსგავსი რეგულაცია უნდა გავრცელდეს ყველა სპორტში ჩართულ მოზარდზე. ვფიქრობ, რომ ეს მოთხოვნა სავალდებულო უნდა იყოს და რეგულირდებოდეს საკანონმდებლო დონეზე.

სხდომაზე გამოთქმული რეკომენდაციების შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე - შალვა სუთიაშვილი, ალექსანდრე მუკათარიძე, დავით ხაბეიშვილი, მამუკა ხაბარელი, ვაჟა კოკაია, შალვა მაისურაძე, დავით ჭელიძე, შალვა პერანიძე, (8)

თავი შეიკავა - დავით ფანჯაკიძე - (8),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიის დასკვნა შენიშვნებით და რეკომენდაციებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 72-ე მუხლის მე-5 პუნქტის

თანახმად“ გადაეგზავნოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას შემდგომი რეაგირებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შალვა სუთიაშვილი